ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №769925

ნომერი: AR1140392

თარიღი : 24.06.2013

გაცემის თარიღი : 02.07.2013

გაცნობის თარიღი : 09.07.2013

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , თევდორე მღვდლის ქუჩაზე (ბაზრობა "ბიზნესი"-ს ყრუ კედელთან);

დამკვეთი-განმცხადებელი

- დანიელი სარაჯიშვილი პ/ნ 01017038873
- თბილისი ოქროყანის ქ. N 7/2

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის საზღვრების მომზადება
- მიწის ნაკვეთის საზღვრების კორექტირება (გარდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მიწის ნაკვეთების საზღვრებისა)

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 51–ე, 52–ე, 96–ე, მე–100 მუხლების, VI თავის, სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ საქართველოს კანონის მე–9 მუხლების, ქალაქ თბილისის მთავრობის 2008 წლის 22 დეკემბრის N24.16.832 დადგენილებით დამტკიცებული ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის დებულების მე–2 და მე–3 მუხლების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპთბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი განცხადება რომლითაც ითხოვთ თევდორე მღვდლის ქუჩაზე (ბაზრობა "ბიზნესი"–ს ყრუ კედელთან) არსებული მიწის ნაკვეთის საზღვრების კორექტირებას. აღნიშნულთან დაკავშრებით განგიმარტავთ, რომ ,ქალაქ თბილისის მთავრობის 2008 წლის 22 დეკემბრის №24.16.832 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის წესდების (დებულების) მე-6 მუხლის თანახმად, სამსახურის სტრუქტურული ერთეულია მიწის ნაკვეთის საზღვრების მომზადებისა და საინვესტიციო განყოფილება. ამავე დებულების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ზემოაღნიშნული განყოფილების ერთ-ერთი უფლებამოსილებაა ,,ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების დადგენა, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთებისა და განსაკუთრებულ შემთხვევებში, ქ. თბილისის მთავრობის დავალების საფუძველზე, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების საზღვრების დადგენა, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, ქალაქგეგმარებითი მოწესრიგების მიზნით, ფართობის უცვლელად მიწის ნაკვეთების საზღვრების კორექტირება.“

ზემოაღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, ცალსახად ჩანს, რომ სამსახურის კომპეტენციაში არ შედის და მის უფლებამოსილებას სცილდება ფართობის მომატებით მიწის ნაკვეთების საზღვრების კორექტირება, შესაბამისად არქიტექტურის სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.